ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 155

"15" აპრილი 2022 წ.

ქ. თბილისი

მისამართზე - ქ.თბილისი, არჩილ მეფის ქუჩა №25ბ (ს/კ. №01.10.07.007.093) მდებარე ობიექტისათვის დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსის მინიჭების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - ,,დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების'' 35-ე მუხლის პირველი, მე-3 პუნქტების, ასევე მე-11 პუნქტის ,,ზ" ქვეპუნქტის, მე-12 პუნქტისა და შპს ,,ქოზი ჰოუმ თბილისი"-ის (ს/ნ. 406228283) დირექტორის ირაკლი ჩიქავას №0322089120-03 განცხადების საფუძველზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსი მიენიჭოს მისამართზე - ქ.თბილისი, არჩილ მეფის ქუჩა №25ბ მდებარე საკადასტრო ერთეულს: №01.10.07.007.093.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე